# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 310

"16" ივლისი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №5-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.039) პირდაპირი განკარგვის წესით ალექსანდრე შონიასთვის (პ/ნ. 01008011139) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №5-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.039) პირდაპირი განკარგვის წესით ალექსანდრე შონიასთვის (პ/ნ. 01008011139) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 14 ივნისის №22.899.984 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №5-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.039) პირდაპირი განკარგვის ალექსანდრე შონიასთვის (პ/ნ. 01008011139) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 800 (ათას რვასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე